

საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური გეგმის  
II ეტაპი - მიზნობრივი სოციალური დახმარება მოქალაქეებს

დახმარების მიღების ინსტრუქცია

I. საგადასახადო შეღავათი 750 ლარამდე გაცემულ ხელფასებზე

2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება.

აღნიშნული შეღავათის მიზანია, დამსაქმებლებს შეუმცირდეთ ყოველთვიური ხარჯები და ჰქონდეთ შესაძლებლობა მაქსიმალურად მეტი სამუშაო ადგილი შეინარჩუნონ და დაქირავებულ პირებს აუნაზღაურონ მათი ხელფასები.

დამსაქმებელი მოიცავს ყველა ტიპის საწარმოს, მათ შორის, კომპანიებს, საწარმოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებსაც დაქირავებული ჰყავთ ფიზიკურ პირები, მათი შესრულებული სამუშაოების შესაბამისად უხდიან ხელფასს და ამავდროულად, იხდიან გაცემული ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადს.

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება საბიუჯეტო ორგანიზაციაზე; საქართველოს ეროვნული ბანკზე; ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებზე; საწარმოებზე, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი და ამ საწარმოს დაფუძნებულ/შვილობილ საწარმოებზე, რომლის 50%-ზე მეტ წილს ფლობს თავად ეს საწარმო.

ის დამსაქმებლები, ვინც უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ შეღავათით, მაისი-ოქტომბრის საანგარიშო პერიოდში, ხელფასების გაცემის დროს საშემოსავლო გადასახადს:

- ✓ საერთოდ არ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც 750 ლარი ან უფრო ნაკლებია;
- ✓ ნაწილობრივ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც არ აღემატება 1500 ლარს, ხოლო ამ ხელფასიდან გადასახადით დასაბეგრი თანხა მეტია 750 ლარზე. ამ შემთხვევაში, გაცემულ ხელფასზე დაკავებული გადასახადიდან გადაიხდიან იმ ნაწილს, რომელიც აღემატება 150 ლარს.

მაგ: თუ საწარმოში დასაქმებული პირის დარიცხული ხელფასი შეადგენს 1000 ლარს (პირი არ სარგებლობს საპენსიო სქემით და საგადასახადო შეღავათით), პირი დაკავებული 200 ლარიდან გადაიხდის 50 ლარს.

- ✓ სრულად გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელზეც 1 კონკრეტულ თვეში ხელფასი იქნება 1500 ლარზე მეტი;

ხელფასის 1500 ლარიანი ზღვარი მოქმედებს კონკრეტულ თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე, ანუ მაგალითისთვის თუ მაისში დაქირავებულზე გაიცა 1600 ლარი, ამ დაქირავებულზე დამსაქმებელი საშემოსავლო გადასახადის შეღავათით ვერ ისარგებლებს, მაგრამ თუ ამავე დაქირავებულზე ივნისში გაიცა 1400 ლარი, ამ შემთხვევაში, ისარგებლებს შეღავათით და ივნისისთვის საშემოსავლო გადასახადს გადაიხდის ნაწილობრივ -130 ლარს ( $1400 * 20\% - 150$ );

დამსაქმებელი გადასახადის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას წარადგენს ჩვეულ რეჟიმში, არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

შესაძლო კითხვები:

- თუ ფიზიკურ პირს აქვს შრომითი ურთიერთობა და იღებს ხელფასს ორი ან მეტი დამსაქმებლისგან და თითოეული დამსაქმებლისგან მიღებული ხელფასის ოდენობა არ აღემატება 1500 ლარს, შეეძლება თუ არა შეღავათით სარგებლობა თითოეულ დამსაქმებელს 750 ლარამდე გაცემულ ხელფასებზე?
  - ✓ თითოეული დამსაქმებელი ისარგებლებს 750 ლარამდე გაცემულ ხელფასებზე განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით, თუ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი არ აღემატება 1500 ლარს.
- დამსაქმებლის მიერ მაგალითად აპრილის თვის ხელფასის ფაქტობრივად მაისის თვის განმავლობაში ანაზღაურების (გაცემის) შემთხვევაში, თუ გავრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 750 ლარამდე გაცემულ ხელფასებზე გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი?
  - ✓ საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით დამსაქმებელი უფლებამოსილია 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის 750 ლარამდე გაცემული ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი არ აღემატება 1500 ლარს. შესაბამისად, მაისის თვის საანგარიშო პერიოდიდან ოქტომბრის თვის საანგარიშო პერიოდის ჩათვლით დამსაქმებელს აქვს აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლება, მიუხედავად იმისა, თუ ამ დროის შუალედში რომელი თვის შრომის ანაზღაურებას გასცემს იგი. მაგალითის მიხედვით მაისის თვეში პირს შეუძლია ისარგებლოს ხელფასებზე დაწესებული საგადასახადო შეღავათით.

## II. დაქირავებით დასაქმებულთა კომპენსაცია

კორონავირუსის ეპიდემიის/პანდემიის გავრცელების პერიოდში ბევრი დამსაქმებელი იძულებული გახდა შეემცირებინა თანამშრომელთა რაოდენობა, გაეშვა თანამშრომელი უხელფასო შვებულებაში,

უარი ეთქვა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში მყოფისთვის დაბრუნებოდა სამუშაო ადგილს და სხვა.

ზემოაღნიშნულ და ეპიდემიის/პანდემიის გავრცელების პერიოდში დაზარალებული სხვა პირების დასახმარებლად დაწესდა 1200 ლარიანი კომპენსაცია, რომელიც გაიცემა ამ პროგრამის ამოქმედებიდან თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1200 ლარისა ერთ პირზე.

კომპენსაციის მიღება შეეძლება იმ დაქირავებულებს, რომლებსაც 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ უწყვეტ სამ თვეს ან/და 2020 წლის პირველი სამი თვიდან რომელიმე ერთ თვეს მაინც აქვთ აღებული ხელფასი, რის შესახებაც დამსაქმებელს (გარდა, თიზ-ის საწარმოსი, რომელიც არ აკავებს გადასახადს გადახდის წყაროსთან) უნდა ჰქონდეს წარდგენილი ინფორმაცია (გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია) შემოსავლების სამსახურში და რომლებიც 2020 წლის 1 ივლისამდე დამქირავებლისაგან არ იღებენ ხელფასს (მათ შორის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/შეჩერების გამო).

ასევე კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ პირებს, რომლებიც ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო იმყოფებიან შვებულებაში, შესაბამისად 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ უწყვეტ სამ თვეს ან/და მიმდინარე წლის პირველი 3 თვის განმავლობაში მათზე არ გაცემულა ხელფასი და რომლებსაც მიმდინარე წლის 1 ივლისამდე დამქირავებლისაგან არ აუღიათ ხელფასი (მათ შორის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/შეჩერების გამო).

დასაქმებულებზე 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ უწყვეტ სამ თვეს ან/და 2020 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც გაცემული ხელფასების შესახებ ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს დამსაქმებლის მიერ 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით წარდგენილი/დაზუსტებული (გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის) დეკლარაციებით.

შენიშვნა: ზემოთაღნიშნულის მიზნებისათვის, დამქირავებლის მიერ საგანგებო მდგომარეობის პერიოდის დასრულებამდე სამსახურში წარდგენილი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დაზუსტების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია მიიჩნევა საგანგებო მდგომარეობის პერიოდის დასრულებამდე წარდგენილად, თუ დაზუსტებას ექვემდებარება მხოლოდ დაქირავებულის პირადი ნომერი, რომელიც არასწორად არის მითითებული და აღნიშნული იწვევს დაქირავებით დასაქმებულის კომპენსაციის მიღების უფლების დაკარგვას;

დაქირავებულზე კომპენსაციის გაცემა ხდება დამსაქმებლის მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი ინფორმაციის (განცხადების) მიხედვით.

დამქირავებელი არაუგვიანეს ყოველი თვის (თვე, რომელშიც პირმა ვერ მიიღო ხელფასი) 15 რიცხვისა ელექტრონულად, გადასახადის გადამხდელის (დამქირავებლის) პირადი ვებგვერდის <https://eservices.rs.ge/> მეშვეობით, დადგენილი ფორმით (განცხადება [იხილეთ აქ](#) ) წარადგენს ინფორმაციას, სადაც მიეთითება იმ პირთა სია, რომლებზეც ხელფასი გაცემული აქვს 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ უწყვეტ სამ თვეს ან/და 2020 წლის პირველ კვარტალში ერთხელ მაინც და აღარ გაუცია წინა თვეში, ასევე უთითებს იმ პირების შესახებ ინფორმაციასაც რომლებიც ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის

გამო იმყოფებოდნენ შვებულებაში 2019 წლის ივლის-დეკემბრის ან/და 2020 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში.

შემოსავლების სამსახურში წარდგენილი განცხადება უნდა მოიცავდეს მონაცემებს იმ დაქირავებით დასაქმებული პირების შესახებ, რომლებიც 2020 წლის 1 ივლისამდე დამქირავებლისაგან არ იღებენ ხელფასს (მათ შორის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/შეჩერების გამო).

ინფორმაციაში მიეთითება:

- დაქირავებულის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
- დაქირავებულის საკონტაქტო მონაცემები (ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი);
- დაქირავებულის საბანკო რეკვიზიტები (ანგარიშის ნომერი);
- საანგარიშო თვეში გაცემული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით (დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ან საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა) გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის ოდენობა;
- პირი ორსულობის, მშობიარობისა და ზავშვის მოვლის, ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო იმყოფება შვებულებაში.

№	პირადი ნომერი	სახელი, გვარი	მისამართი	ტელეფონი	საბანკო ანგარიშის ნომერი	საანგარიშო თვეში გაცემული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის ოდენობა	მოინიშნება იმ შემთხვევაში, თუ პირი ორსულობის, მშობიარობისა და ზავშვის მოვლის, ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო იმყოფება შვებულებაში

შენიშვნა: თუ დამქირავებელი არ წარადგენს მომდევნო თვეში ინფორმაციას, შემოსავლების სამსახური იყენებს წინა განაცხად(ებ)ს. ამ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ დამქირავებელმა წარადგინა განაცხადი დადგენილ ვადებში. ამასთან, დამქირავებელს განაცხადის წარდგენის ვალდებულება წარმოეშობა, თუ დაზუსტების მიზანია დაქირავებული პირის კომპენსაციის მიმღებ პირთა რეესტრში დამატება. დამქირავებელი ინფორმაციას წარადგენს მხოლოდ ამ პირზე, ხოლო დანარჩენ დაქირავებულებთან მიმართებით შემოსავლების სამსახური იყენებს დამქირავებლის მიერ სამსახურში წარდგენილ წინა განაცხად(ებ)ს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: თიზ-ის საწარმო, ვალდებულია ყოველთვიურად, არაუგვიანეს შესაბამისი თვის (თვე, რომელშიც პირმა ვერ მიიღო ხელფასი) მომდევნო თვის 15 რიცხვისა, განაცხადის ფორმით „საანგარიშო თვის ინფორმაცია დაქირავებული პირების შესახებ“

რომლებსაც აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება (COVID-19)“, შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია იმ დაქირავებულთა შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის N 286 დადგენილებით გათვალისწინებული დაქირავებით დასაქმებულის კომპენსაციის გაცემის პირობებს.

შესაბამისად, თუ თიზ-ის საწარმოს მიერ წარდგენილ ინფორმაციაში ასახული არ იქნება პირი, რომელიც მის მიერ წინა პერიოდში წარდგენილ ინფორმაციაში იყო ასახული, ჩაითვლება რომ აღნიშნული პირი აღარ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის N 286 დადგენილებით გათვალისწინებული დაქირავებით დასაქმებულის კომპენსაციის გაცემის პირობებს, ხოლო აღნიშნული ფაქტის არსებობა ივენისის თვის საანგარიშო პერიოდზე და შემდგომ პერიოდზე წარდგენილ ინფორმაციაში განხილული იქნება კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველად.

არაუგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვისა (მაისის თვეში 30 რიცხვის ჩათვლით), დამსაქმებლების მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შემოსავლების სამსახური აკეთებს საკომპენსაციო პირების ერთიან ბაზას და უგზავნის სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო).

საკომპენსაციო სიაში ვერ მოხვდებიან ის პირები, რომლებზეც შემოსავლების სამსახურის ბაზაში დაფიქსირებულია, რომ მათზე ამავე თვეში გაცემულია ხელფასი (სხვა დამსაქმებლისგან).

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

მაგალითისთვის: შესაძლებელია 15 მაისს დაქირავებულზე კომპანია „ა“-მ წარადგინა ინფორმაცია, რომ აპრილში მასზე არ გაუცია ხელფასი, მაგრამ კომპანია „ბ“-ს წარდგენილ დეკლარაციაში ჩანს, რომ ამავე პირზე გასცა ხელფასი. ამ შემთხვევაში, ეს პირი ვერ მოხვდება საკომპენსაციო სიაში.

დამქირავებელს უფლება აქვს ინფორმაციის შემოსავლების სამსახურში წარუდგენლობის ან/და არასწორედ წარდგენის შემთხვევაში, დააზუსტოს ან წარადგინოს განცხადება შესაბამისი თვის 20 რიცხვის ჩათვლით, ხოლო მაისის თვეში - დამატებით 30 რიცხვის ჩათვლით. რის საფუძველზეც შემოსავლების სამსახური სააგენტოს უგზავნის დაზუსტებულ სიას.

სააგენტო, შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ სიაში არსებულ პირებზე ახორციელებს საკომპენსაციო თანხების გადარიცხვას არაუგვიანეს შესაბამისი თვის 30 რიცხვისა, ამასთან, მაისის 21-დან 30 რიცხვის ჩათვლით წარდგენილი ინფორმაციების მიხედვით, კომპენსაცია გაიცემა არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

იმ შემთხვევაში, თუ საკომპენსაციო სიაში არსებულ პირზე დაფიქსირდა ხელფასის გაცემა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირზე შესაბამისი თვეში ხელფასის გაცემა დაფიქსირდა არაუმეტეს 10 ლარისა), შეწყდება მასზე კომპენსაციის გაცემა.

**გაითვალისწინეთ!!! კომპენსაციის გაცემის მიზნებისათვის დაქირავებულად არ მიიჩნევა და დაქირავებით დასაქმებულის კომპენსაციის მიღების უფლებამოსილება არ აქვთ პირებს, რომლებზეც 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ თვეს ან/და 2020 წლის პირველ კვარტალში ფიქსირდება სახელფასო განაცემი საბიუჯეტო ორგანიზაციიდან; საქართველოს ეროვნული ბანკიდან; ეროვნული მარეგულირებელი ორგანოდან; საწარმოდან, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან მუნიციპალიტეტი და ამ საწარმოს დაფუძნებული/შვილობილი საწარმოდან, რომლის 50%-ზე მეტ წილს ფლობს თავად ეს საწარმო.**

**შენიშვნა:** დაქირავებულად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელსაც 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ თვეს ან/და 2020 წლის პირველ კვარტალში უფიქსირდება ბოლო ხელფასის მიღება იმ პირისგან, რომელიც არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას; საქართველოს ეროვნულ ბანკს; ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს; საწარმოს, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან მუნიციპალიტეტი და ამ საწარმოს დაფუძნებული/შვილობილი საწარმოს, რომლის 50%-ზე მეტ წილს ფლობს თავად ეს საწარმო.

შესაძლო კითხვები:

- ✓ დასაქმებული ვიყავი საწარმოში, თუმცა ხელფასი არ მერიცხებოდა ბანკში, დამქირავებელი ხელფასს მიხდიდა ხელზე. ამ შემთხვევაში მივიღებ თუ არა კომპენსაციას?

მიუხედავად იმისა, ხელფასი ირიცხებოდა საბანკო ანგარიშზე თუ გაიცემოდა ხელზე ნაღდი ფულის სახით, დამსაქმებელი ვალდებული იყო გადასახდელად დაერიცხა საშემოსავლო გადასახადი და თქვენ შესახებ ინფორმაცია (გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია) წარედგინა შემოსავლების სამსახურში. შესაბამისად, თუ თქვენი დამსაქმებელი ასრულებდა მის ვალდებულებებს, თქვენ მიიღებთ კომპენსაციას.

- ✓ ვიყავი დასაქმებული, შესაბამისად ვიღებდი ხელფასს, მაგრამ ჩემი დამქირავებელი არ აგზავნიდა საჭირო ინფორმაციას შემოსავლების სამსახურში, მივიღებ თუ არა კომპენსაციას?

კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ იმ პირებს, რომელთა ხელფასზეც დამქირავებელს ინფორმაცია წარდგენილი აქვს შემოსავლების სამსახურში შესაბამისი თვეების დეკლარაციებით.

- ✓ ჩემმა დამსაქმებელმა მითხრა, რომ ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარდგენილი აქვს შემოსავლების სამსახურში, თუმცა მაისში (ივნისში) კომპენსაცია არ ჩამრიცხვია და აპრილშიც ხელფასი არსაიდან არ ამიღია, ვის უნდა მივმართო ამ შემთხვევაში?

თქვენ შეგიძლიათ გადაამოწმოთ წარდგენილია თუ არა დამსაქმებლის მიერ დაქირავებული პირის შესახებ მონაცემები შემოსავლების სამსახურში შემდეგ ბმულზე <https://www.rs.ge/kompensacia>, ასევე თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ცენტრს - info@rs.ge, T. 2 299 299.

### III. თვითდასაქმებულები

თვითდასაქმებულად ითვლება ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც ეწეოდა რაიმე ტიპის ეკონომიკურ საქმიანობას და იღებდა შემოსავალს, გარდა დაქირავებით დასაქმებულისა.



თვითდასაქმებულებისთვის კომპენსაციის მოცულობა განსაზღვრულია ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით.

კომპენსაციის მისაღებად აუცილებელია დასტურდებოდეს, რომ ეს პირი 2020 წლის პირველ კვარტალში ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას ან/და ჰქონდა შემოსავალი.

1. შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული თვითდასაქმებულებისათვის კომპენსაციის მიღება უფრო გამარტივებულია და მათ არ დასჭირდებათ დამატებითი მტკიცებულების წარდგენა.

- შემოსავლების სამსახური იდენტიფიცირებას გაუკეთებს ინდივიდუალურ მეწარმეებს, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებსა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უფიქსირდებათ ეკონომიკური აქტივობა ან/და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან. ამ მიზნით ეკონომიკურ აქტივობად ჩაითვლება პირის მიერ სამსახურში წარდგენილი საგადასახადო/საბაჟო დეკლარაცია/გაანგარიშება, საკონტროლო-სალარო აპარატის/ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის გამოყენება, გამოწერილი სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/საგადასახადო დოკუმენტი ან/და ბიუჯეტში გადასახადის/სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი მოსაკრებლის გადახდა, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების შემთხვევაში (მაგალითად, თონეები, სილამაზის სალონები, ავტო-ტექ მომსახურების ობიექტები, სოლარიუმის მომსახურება) დარიცხული ფიქსირებული გადასახადი.
- შემოსავლების სამსახური იდენტიფიცირებას გაუკეთებს აგრეთვე მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს, რომლებსაც მიკრო ბიზნესის სტატუსი მიენიჭათ 2020 წლის 1 აპრილამდე და რომლებიც არ იღებენ დაფინანსებას ბიუჯეტიდან.

აღნიშნული პირების იდენტიფიცირებას შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2020 წლის 20 მაისისა და აკეთებს საკომპენსაციო პირების სიას.

საკომპენსაციო სიაში ზემოთჩამოთვლილი კატეგორიებიდან არ შევლენ ის ფიზიკური პირები, რომლებზეც 2020 წლის განმავლობაში ფიქსირდება ხელფასის გაცემა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირზე შესაბამის თვეში ხელფასის გაცემა დაფიქსირდა არაუმეტეს 10 ლარისა) ან/და ეს პირები ფიქსირდებიან დაქირავებით დასაქმებულთა კომპენსაციის სიებში.

შესაბამის ინფორმაციას შემოსავლების სამსახური არაუგვიანეს 2020 წლის 20 მაისისა აწვდის სააგენტოს.

ამავდროულად, სიაში მყოფი პირები კომპენსაციის მიღების შესაძლებლობაზე შეტყობინებას მიიღებენ გადასახადის გადამხდელის ავტორიზებულ გვერდზე [eservices.rs.ge](https://www.moh.gov.ge)-ზე.

ამ კატეგორიის პირებისთვის 2020 წლის 15 მაისიდან გახსნილია ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონულ პორტალზე <https://www.moh.gov.ge/> ელექტრონული განაცხადის ფორმა (იხილეთ აქ

<https://compensation.moh.gov.ge/>), სადაც კომპენსაციის მიღების მიზნით ფიზიკურმა პირმა უნდა შეავსოს შემდეგი ინფორმაცია (პირი ვალდებულია შეავსოს ელექტრონული განცხადების ფორმა არაუგვიანეს 2020 წლის 1 ივლისისა) :

- სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- საკონტაქტო მონაცემები (ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი);
- საბანკო რეკვიზიტები (ანგარიშის ნომერი).

პირის მიერ ელექტრონული განაცხადის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტო განაცხადში არსებულ პირად ნომერს ადარებს შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციას და საკომპენსაციო თანხას რიცხავს პირის მიერ მითითებულ მის საბანკო ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ განეკუთვნება შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ თვითდასაქმებულებს, მაშინ განმცხადებელს მიეცემა საშუალება რეგისტრაციის დროს წარადგინოს 2020 წლის პირველ კვარტალში გაწეული ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. განმცხადებელს, რომელიც ფიქრობს რომ უნდა იყოს შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ თვითდასაქმებულთა სიაში, საშუალება აქვს დამატებით ინფორმაცია მიიღოს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ცენტრისგან - [info@rs.ge](mailto:info@rs.ge), T. 2 299 299.

2. ის თვითდასაქმებულები, რომლებიც არ არიან შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ კომპენსაციის მიმღებ თვითდასაქმებულთა სიაში, რეგისტრაციას გადიან ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონულ პორტალზე - [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge), და უნდა შეავსონ ელექტრონული განაცხადის ფორმა (იხილეთ აქ <https://compensation.moh.gov.ge/>).

შენიშვნა: კომპენსაციის მიღების უფლების მქონე ფიზიკურ პირებად ასევე ითვლებიან ინდივიდუალური მეწარმეები, მცირე და მიკრობიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული თვითდასაქმებულები პირების რეესტრში.

კომპენსაციის მიღების მიზნით ფიზიკურმა პირმა არაუგვიანეს 2020 წლის პირველი ივლისისა ელექტრონული ფორმით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- საკონტაქტო მონაცემები (ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი);
- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- ინფორმაცია 2020 წლის პირველ კვარტალში მისი შემოსავლის წყაროს შესახებ, მათ შორის:
  - ✓ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა) მიერ გაცემული პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შემოსავლის მიღების ფაქტი (წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. მაგალითად, შესყიდვის აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი);
  - ✓ 2020 წლის პირველი 3 თვის საბანკო ამონაწერი, რომლითაც დასტურდება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;



- ✓ მუნიციპალიტეტის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირზე გაცემული რაიმე საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა ნებართვა/ლიცენზია;
- ✓ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება პირის ეკონომიკური აქტივობა ან/და შემოსავალი.

შენიშვნა: N286 დადგენილებაში შესული ცვლილებებით, დამატებით 300-ლარიან ერთჯერად კომპენსაციას მიიღებენ ასევე ის ინდივიდუალური მეწარმე პირები, მიკრო და მცირე მეწარმის სტატუსის მქონე პირები, ასევე, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირები, რომელთაც 2019 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია წარდგენილი ჰქონდათ დადგენილი ვადის დაგვიანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალს ემატება კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურში წარდგენილი 2019 წლის წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია, რომელშიც ერთობლივი შემოსავლის თანხა ნულზე მეტია.

სააგენტო, სამუშაო ჯგუფთან ერთად იხილავს წარმოდგენილ ელექტრონულ განაცხადებს და არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში გადაწყვეტილების მისაღებად სიას წარუდგენს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილ უწყებათაშორის კომისიას.

აღნიშნულ სიაში ვერ მოხვდებიან ის პირები, რომლებიც არიან შემოსავლების სამსახურიდან სააგენტოსთვის მიწოდებულ სხვა საკომპენსაციო სიებში.

კომისიის გადაწყვეტილებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს განმცხადებლისათვის კომპენსაციის თანხის ჩარიცხვას განცხადებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

იმ პირებს, რომელთა განცხადებებიც არ დაკმაყოფილდება, სააგენტო გადაწყვეტილების მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით აწვდის ინფორმაციას კომპენსაციის გაცემაზე უარის შესახებ. დამატებითი ინფორმაციის მიღება პირს შეეძლება ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე 1505.

ვინ შეიძლება მოხვდეს არარეგისტრირებული თვითდასაქმებულების კატეგორიაში და რა დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარადგინოს? რამდენიმე შესაძლო ვარიანტი:

- ბაზრობის დახლოე მოვაჭრე პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული მეწარმედ და რომლის შესახებაც ბაზრობის ორგანიზატორს ინფორმაცია არ აქვს წარდგენილი შემოსავლების სამსახურში (შესაბამისად ეს პირი ვერ მოხვდებოდა შემოსავლების სამსახურის მიერ სააგენტოსთვის გაგზავნილ საკომპენსაციო პირთა სიაში) - აღნიშნულმა პირმა ეკონომიკური აქტივობის/შემოსავლის წყაროს დასადასტურებლად უნდა წარადგინოს ბაზრობის ორგანიზატორის მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნული პირი 2020 წლის პირველ კვარტალში ვაჭრობდა მისი ბაზრობის ტერიტორიაზე და იხდიდა შესაბამის ქირას/იჯარას;
- პირი, რომელსაც დასახლებული პუნქტიდან მუნიციპალიტეტის ცენტრში ან დასახლებულ პუნქტებს შორის გადაყავდა მგზავრები და არ წარმოადგენს კომპანიის თანამშრომელს - უნდა წარადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან;

- პირი, რომელსაც დასახლებული პუნქტებიდან ბავშვები დაყავდა საჯარო სკოლაში და არ წარმოადგენს კომპანიის თანამშრომელს - უნდა წარადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან;
- პირი, რომელიც ახორციელებს მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაყვანას და არ წარმოადგენს კომპანიის თანამშრომელს - უნდა წარადგინოს ავტოსადგურის ორგანიზატორისგან შესაბამისი ცნობა და მომსახურების გაწევის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტი (საბანკო ტრანზაქცია ან სალარო აპარატის ჩეკი);
- პირი, რომელიც დღიურად აქირავებს კუთვნილ საცხოვრებელ ფართებს ბინების გაქირავების ელექტრონული პორტალების მეშვეობით (Airbnb.com, booking.com და სხვა) - უნდა წარადგინოს საბანკო ამონაწერი, სადაც გამოჩნდება შესაბამისი კომპანიიდან მიღებული შემოსავალი);
- პირი, რომელიც ამზადებდა სუვენირებს და აბარებდა სუვენირების მალაზიას, ან პირი რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტს აბარებდა საცხოვს/რესტორანს - უნდა წარადგინოს შესაბამისი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი (შესყიდვის აქტი, მიღება ჩაბარების აქტი);
- პირი, რომელიც მუშაობს ძივად, ხელოსნად, დამლაგებლად ან სხვა მსგავსი ტიპს სამუშაოზე - კომპენსაციას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ წარადგენს გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული სერვისის მიმწოდებელი/საშუამავლო კომპანიიდან ცნობას, ვისი მეშვეობითაც 2020 წლის 1 აპრილამდე მოხდა მისი დამსაქმებელთან დაკავშირება;
- ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც 2020 წლის პირველ კვარტალში უფიქსირდება ეკონომიკური აქტივობა ან/და ჰქონდა შემოსავალი და შეძლებს ამ შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას (მათ შორის, საბანკო ამონაწერის მეშვეობით);

26 ივნისის, საქართველოს მთავრობის #388 დადგენილების თანახმად, „ახალი კორონავირუსით (SARSCOV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილებაში ცვლილება შევიდა.

ცვლილების თანახმად, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც თვითდასაქმებულები იყვნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ, რაც დასტურდება 2019 წელს 60-ჯერ ან/და 2019 წლის მარტის თვიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით პერიოდში 30-დან 120 კალენდარულ დღემდე საზღვრის კვეთით, ეძლევათ შესაძლებლობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან (შსს) გაცემული, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, დარეგისტრირდნენ კომპენსაციის მიმღებ პირებად ჯანდაცვის სამინისტროს სარეგისტრაციო პორტალზე.

საქართველოს საზღვრებს გარეთ თვითდასაქმებულები უნდა დარეგისტრირდნენ ჯანდაცვის სამინისტროს სარეგისტრაციო პორტალზე (<https://compensation.moh.gov.ge/>) განმცხადებლად არაუგვიანეს 2020 წლის 15 ივლისისა. აღნიშნულ პირებს სხვა დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ ესაჭიროებათ.

გთხოვთ, დასაქმებულებზე და თვითდასაქმებულებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდეთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ცენტრს - [info@rs.ge](mailto:info@rs.ge), T. 2 299 299.

IV. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 65 000-დან 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მყოფი ოჯახები

აღნიშნულ პირებს არ დასჭირდებათ დამატებით რაიმე განაცხადის ან დოკუმენტაციის წარდგენა.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, მის ბაზაში არსებული მონაცემების მიხედვით, ყოველთვიურად უზრუნველყოფს საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვას ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის ერთ წევრზე.

საკომპენსაციო თანხა ოჯახის თითოეულ წევრზე შეადგენს თვეში 35 ლარს და შესაბამისად, მისი ჩარიცხვა მოხდება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით, კერძოდ:

- ერთ წევრიან ოჯახზე თვეში კომპენსაცია იქნება 70 ლარი;
- 2 წევრიან ოჯახზე - 90 ლარი;
- 3 წევრიან ოჯახზე - 105 ლარი;
- 4 წევრიან ოჯახზე - 140 ლარი;
- 5 წევრიან ოჯახზე - 175 ლარი;
- 6 წევრიან ოჯახზე - 210 ლარი;
- 7 წევრიან ოჯახზე - 245 ლარი;
- 8 წევრიან ოჯახზე - 280 ლარი;
- 9 წევრიან ოჯახზე - 315 ლარი;
- 10 წევრიან ოჯახზე - 350 ლარი;
- 11 წევრიან ოჯახზე - 385 ლარი;
- 12 წევრიან ოჯახზე - 420 ლარი;
- 13 წევრიან ოჯახზე - 455 ლარი;
- 14 წევრიან ოჯახზე - 490 ლარი;
- 15 წევრიან ოჯახზე - 525 ლარი;

კომპენსაცია ჩაირიცხება ოჯახების/პირების უკვე არსებულ ან ახლად გახსნილ სს “ლიბერთი ბანკის” ანგარიშებზე.

V. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მყოფი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ბავშვი

აღნიშნულ პირებს არ დასჭირდებათ დამატებით რაიმე განაცხადის ან დოკუმენტაციის წარდგენა.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, ყოველთვიურად ბავშვებზე დანიშნულ დახმარებასთან ერთად, ამ ოჯახებს დამატებით ჩაურიცხავს 100 ლარს.

VI. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

აღნიშნულ პირებს არ დასჭირდებათ დამატებით რაიმე განაცხადის ან დოკუმენტაციის წარდგენა.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, ყოველთვიურად ამ პირების სოციალური პაკეტით განსაზღვრულ დახმარებასთან ერთად დამატებით ჩაურიცხავს 100 ლარს.

შშმ პირების, 65 00-დან 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით ოჯახების და 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მრავალშვილიანი ოჯახების საკომპენსაციო პაკეტების მიღება შესაძლებელია ერთდროულად.

მაგ: თუ 6 სულიანი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 80000, ჰყავთ სამი 16 წლამდე ბავშვი და ამავდროულად ოჯახის ერთი წევრი არის მკვეთრად გამოხატული შშმ პირი ან შშმ ბავშვი, ასეთი ოჯახი მიიღებს სამივე დახმარებას და ოჯახის ჯამური საკომპენსაციო პაკეტი შეადგენს 2 460 ლარს, რომელიც ჩაერიცხება 6 თვის განმავლობაში, თვეში 410 ლარის ოდენობით.

შშმ პირების, 65 000-დან 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით ოჯახების და 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მრავალშვილიანი ოჯახების საკომპენსაციო პაკეტების მიღება არ ზღუდავს დამატებით ერთ-ერთის - საგადასახადო შეღავათის, დაქირავებით დასაქმებულის ან თვითდასაქმებულის კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.